დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 3 მაისი**

დისციპლინური საქმე №70/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 4 აპრილის №70 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 6 აპრილის №209/70-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია, ამასთან, ამავე წერილებით განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ საქმის განხილვისას უსამართლოდ, მტკიცებულებების გარეშე, უკანონოდ მიიღო დადგენილება მისი სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2022 წლის 24 ოქტომბერს, -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- პოლიციის -- სამმართველოდან განსახილველად წარედგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები -- -- მიმართ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის.

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით 2022 წლის 24 ოქტომბერს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით, -- -- ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა - -- (--) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2.2. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 17 ნოემბრის დადგენილება 2022 წლის 21 ნოემბერს -- სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა -- --, რომლითაც გასაჩივრებული დადგენილების გაუქმება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 17 ნოემბრის დადგენილებაზე არ დაკმაყოფილდა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას.

მოცემულ საქმეზე მოსამართლემ შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღო დასაბუთებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, მოსარჩელე მხარის განცხადება, რომ მოსამართლემ საქმის განხილვისას არ იხელმძღვანელა შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით და არ გაითვალისწინა მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ვერ გახდება დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში

შეფასების საგანი, რადგან საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას, არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

შეწყდეს, -- -- 2023 წლის 4 აპრილის №70 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი